<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის მონაკვეთისთვის ცნობილი ემიგრანტის, საზოგადო მოღვაწის პეტრე ხვედელიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ცნობილი ემიგრანტის, საზოგადო მოღვაწის პეტრე ხვედელიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X- 488,917.826
Y- 4,615,387.456
X- 488,970.070
Y- 4,615,283.856
X- 488,963.901
Y- 4,615,021.464
X- 488,912.886
Y- 4,614,824.368

02/670

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ლ.ჯახველაძეს

გთხოვთ გნიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი

24 05 16

№9694
27.05.16წ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ალიბეგაშვილს

მოქ. ნანა ჯერვალიძის

მცხ. თბილისი, ზემო ვეძისის
დასახლება N107

ტელ. 593 99 88 80

597 06 83 50; პ.ნ. 01010001410

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბ-ნო გიორგი, მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 27 მარტს აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში გარდაიცვალა ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენელი ბ-ნი პეტრე ხვედელიძე. საქართველოს პარლამენტმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩვენი განცხადების საფუძველზე უზრუნველყო მისი საქართველოში გადმოსვენება სახელმწიფო სახსრებით, ხოლო მერიამ ბ-ნი პეტრე დამსახურებისამებრ დაკრძალა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ასევე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო მისი საფლავის კეთილმოწყობა.

ამ კეთილშობილური აქტით აღსრულდა და რეალობად იქცა ყველა ემიგრანტის აუხდენელი ოცნება. პეტრე ხვედელიძის ჩამოსვენება არის უპრეცედენტო მოვლენა - დღემდე გარდაცვალებიდან უმოკლეს ხანში საქართველოში არ გადმოსვენებულა ძველი ემიგრაციის არც ერთი წარმომადგენლის ნეშტი.

ბატონი პეტრე ყველგან და ყოველთვის იბრძოდა საქართველოს გასათავისუფლებლად საბჭოთა იმპერიისაგან, იგი იბრძოდა არა მხოლოდ სიტყვით, იბრძოდა მაშინაც, როდესაც რადიო "ამერიკის ხმის" წამყვანი იყო 18 წლის მანძილზე. დიდი იმედი ჰქონდა, რომ მისი სამშობლო წელში გაიმართებოდა, ზნეობრივად ამაღლდებოდა და ქართველი ერი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა სხვა ერთა შორის.

არც ერთი ქართული საქმე არ გაკეთებულა ემიგრაციაში ბატონი პეტრე ხვედელიძის უშუალო მონაწილეობის გარეშე. წლების მანძილზე იგი უშურველად აფინანსებდა ცნობილი ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთებისა და ცალკეულ ავტორთა წიგნების გამოცემებს, ეხმარებოდა ხელმოკლე ქართველ ემიგრანტებს, თუმცა არც თავად იყო დალხენილი. სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი იგი მორალურად ამხნევებდა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში გადიოდნენ რეაბილიტაციას.

№ 9694
"27" მარტი 2016 20

მან სრულიად უსასყიდლოდ გადმოსცა სამშობლოს უმდიდრესი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, რომელიც 2014-15 წლებში განთავსდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ და თსუ-ის ბიბლიოთეკებში. მისი არქივის საფუძველზე საქართველოში უკვე გამოიცა ორი წიგნი „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით".

ბატონო გიორგი, პირადად თქვენ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოგმართავთ თხოვნით, რათა დიდუბის რაიონში, სადაც ბ-ნი პეტრე დაიბადა და 20 წლამდე ცხოვრობდა (ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩა, დღეს _ თეოდორე შღვდლის ქუჩა), რომელიმე ქუჩას, სკვერს (სადაც დაიდგმება მისი ბიუსტი) მიანიჭოთ პეტრე ხვედელიძის სახელი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ პეტრე ხვედელიძის დიდი დამსახურება და დადებითად გადაწყვიტოთ ეს საკითხი, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

27.05.2016

პატივისცემით:

რობერტ პეტრიაშვილი
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

რ. კობახიძე

რუსუდან კობახიძე
თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელი

ნანა (სოფიკო) ჯერვალიძე ნ. ჯერვალიძე
პეტრე ხვედელიძის არქივის საფუძველზე გამოცემული წიგნების მთავარი რედაქტორი.

(დანართი 18 ფურცელი)

(დანართი სულ 18 ფურცელი)

განცხადებას თან ერთვის:

1) საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ხელმოწერები _ 5 ფურცელი;
2) პეტრე ხვედელიძის მოკლე ბიოგრაფია _ 2 ფურცელი;
3) დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სამმიმრის წერილი _ 1 ფურცელი;
4) საქართველოს დიასპორის სამინისტროსაგან მადლობის სიგელი _ 1 ფურცელი;
5) პეტრე ხვედელიძე _ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოების საპატიო წევრი _ 1 ფურცელი;
6) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წერილი _ 1 ფურცელი;
7) აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს სამადლობელი წერილი (ქართ./ინგლ.) _ 3 ფურცელი;
8) საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის ჯილდო _ 1 ფურცელი;
9) პეტრე ხვედელიძის საარქივო მასალებით შექმნილი წიგნები _ 1 ფურცელი;
10) პეტრე ხვედელიძე _ დიდი ქველმოქმედი _ 1 ფურცელი.

საქართველოს ჰელსინკელების უფლებათა დაცვის დეკლარაციის და მხარდამჭერები

1. ნანა ბოროდულიანი
2. ნიკოლოზ ნათაძე
3. ალექსანდრ ბერეზანსკი
4. ლალი ფოფხაძე
5. ჯემალი ალიხანოვი
6. ავთანდილ ჩოხარიანი
7. ზურაბ ჩიქოვანი
8. ავთანდილ კვეტენაძე
9. თენგიზ ლიპარტელიანი
10. ნოდარ მკერდიშვილი
11. გია თავზარაშვილი
12. ავთანდილ ალექსიანი
13. ნიკოლოზ ხანეთლიძე
14. თენგიზ კიკალიშვილი
15. შოთა ფაღავარიშვილი
16. ეროვანი ფაღავარიშვილი
17. თინათინ ზაიაშვილი
18. ნათელა ბაფაშვილი
19. ია ბაფაშვილი
20. ეზო ბაფაშვილი
21. ანზორ ბაბუკოლავა

22. [illegible]
23. [illegible]
24. [illegible]
25. [illegible]
26. [illegible]
27. [illegible]
28. [illegible]
29. [illegible]
30. [illegible]
31. [illegible]
32. [illegible]
33. [illegible]
34. [illegible]
35. [illegible]
36. [illegible]
37. [illegible]
38. [illegible]
39. [illegible]
40. [illegible]
41. [illegible]
42. [illegible]
43. [illegible]
44. [illegible]
45. [illegible]
46. [illegible]

47 [illegible]
48 [illegible]
49 [illegible]
50 [illegible]
51 [illegible]
52 [illegible]
53 [illegible]
54 [illegible]
55 [illegible]
56 [illegible]
57 [illegible]
58 [illegible]
59 [illegible]
60 [illegible]
61 [illegible]
62 [illegible]
63 [illegible]
64 [illegible]
65 [illegible]
66 [illegible]
67 [illegible]
68 [illegible]
69 [illegible]
70 [illegible]

71 [illegible]

72 [illegible]

73 [illegible]

74 [illegible]

75 [illegible]

76 [illegible]

77 [illegible]

78 [illegible]

ანა წითაშვილი 79

ალევტინა ბიქიაძე 80.

ლიანა ჯღლიაღლიანი 81

ზურაბ ჭელიდიშვილი 82.

ნინო ნადირაშვილი 83

გიორგი კაკაბაძე 84.

თამარ კაკაბაძე 85.

ოთარ ზოლოლა 86.

ოთარ კოტოსაშვილი 87.

ეკატერინე ქინაძე 88.

ანზორ ხიდასელი 89.

პეტრე ხვედელიძის მოკლე ბიოგრაფია

1918 წლის 25 ივნისი – ქ. თბილისში დაიბადა პეტრე ხვედელიძე.

1937 წელი – დაამთავრა თბილისის მე-10 შრომის სკოლა.

1937 წელი – დააპატიმრეს მისი უფროსი ძმა, რომელიც სამხედრო იყო. ამის გამო ის ვერ აგრძელებს სწავლას თბილისში და მიდის სტალინგრადში, სადაც იმხანად მისი მეორე ძმა ინჟინრად მუშაობს. ამავე ქალაქში ისმენს ლექციების კურსს თავისუფალი მსმენელის სტატუსით.

1939 წელი – სწავლის გაგრძელების მიზნით მიემგზავრება მოსკოვში, სადაც რჩება მხოლოდ სამ თვეს. მოსკოვშივე უგზავნის ოჯახი ჯარში გაწვევის უწყებას.

1939 წელი – ჩამოდის თბილისში და იმავე წლის 6 ნოემბერს მიდის წითელ არმიაში.

1940 წელი – ირიცხება პოლკის ასეულის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც ღებულობს ლეიტენანტის წოდებას.

1941 წელი – სამამულო ომის დაწყებისთანავე ომშია. იმავე წლის 12 იელისიდან გერმანელთა ტყვეობაში ატარებს 9 თვეს.

1942 წელი – გაესაფხულზე იგი აპყავთ ბრანდერბურგის სასწავლო პოლკში მოხალისედ. 1942 წლის აგვისტოში იჭრება ომში.

1944 წელი – გერმანული ჯარის ნაწილიდან იგი გადაპყავთ ქართულ ლეგიონში და იმავე წლის გაზაფხულზე იგზავნება ლეგიონთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში ქ. კასტრში. აგვისტოს თვეში ლეგიონი უერთდება დე გოლის ნაწილებს.

1944-1951 წლები – მსახურობს საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში.

1944-1948 წლები – საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკაშია.

1948 წელი – საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონთან ერთად მონაწილეობს ვიეტნამის ომში, საიდანაც მძიმედ დაჭრილს უკან აბრუნებენ და ოპერაციის შემდეგ, 1951 წელს, თითქმის სამწლიანი მკურნალობის შემდეგ მას, როგორც ინვალიდს, ათავისუფლებენ საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონიდან.

1944-1951 წლები – უცხოელთა ლეგიონში მსახურობის პერიოდში მიღებული აქვს ჯილდოები და მედალი. შეიდწლიანი მსახურობის შემდეგ ლეგიონს ტოვებს სერჟანტის ჩინით და ენიშნება ნაწილობრივი პენსია.

1951 წელი – ის პარიზშია და როგორც ომის ვეტერანს, სპეციალობის მისაღებად გზავნიან რადიო-ტელევიზიის საქმის შესასწავლად.

1955 წელი – ამთავრებს ელექტრონიკის ტექნიკურ სასწავლებელს და ერთი წელი მსახურობს ფრანგულ კომპანიაში, რომელიც დიდი რადიოსადგურებისათვის რადიოაპარატურას ამზადებს.
1956 წელი – სექტემბრის ბოლოს მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 10 წელი ცხოვრობს ნიუ-იორკში, სადაც ამთავრებს ამერიკის რადიოკორპორაციის ტექნიკურ სასწავლებელს. 11 წელი და 6 თვე მსახურობს როგორც ტექნიკოსი. მუშაობის პარალელურად საღამოს სწავლობს სხვადასხვა სკოლაში, რათა მიიღოს დამატებითი განათლება. ორი წელი სწავლობს „Queens College"-ში.

1958 წელი – ირჩევენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრად, შემდეგ მდივნად.

1963 წელი – ღებულობს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობას.

1967 წელი – 1 მაისიდან პეტრე ხვედელიძე მიწვეულია რადიო „ამერიკის ხმის" ქართულ განყოფილებაში.

1985 წელი – ივნისის თვეში ასრულებს მუშაობას „ამერიკის ხმის" ქართულ განყოფილებაში და გადის პენსიაზე. რედაქციაში მუშაობისას მიღებული აქვს სიგელები და მადლობები.

2010 წელი – აშშ-ში მცხოვრები, ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარისა და ჟურნალისტის ციცინო ჯერეალიძის ინიციატივითა და ავტორობით, პეტრე ხვედელიძის პირადი არქივის მასალების მიხედვით, თბილისში იბეჭდება წიგნი – „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით" (ლევან სურაბიშვილის წერილები).

2012 წელი – ციცინო ჯერეალიძის ავტორობით იბეჭდება მეორე წიგნი – „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით" (რევაზ გაბაშვილისა და პეტრე ხვედელიძის მიმოწერა).

2013 წელი – ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში გაწეული ღვაწლისა და ქველმოქმედებისათვის მადლობის სიგელით ჯილდოვდება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრისაგან.

2013 წელი – თბილისის თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი საზეიმოდ აღნიშნავს ღვაწლმოსილი ემიგრანტის დაბადებიდან 95 წელს.

2014 წელი, 27 მარტი – ქ. ვაშინგტონში, გარდაიცვალა პეტრე ხვედელიძე.
2014 წელი, 26 აპრილი – ქ. ვაშინგტონიდან გადმოსვენებული ემიგრანტის ცხედარი დაიკრძალა დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პეტრე ხვედელიძის ხსოვნას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვაშინგტონში, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჩვენი ერთ–ერთი უხუცესი ემიგრანტი, პეტრე ხვედელიძე.

ბატონი პეტრე გახლდათ უსპეტაკესი, მაღალი ზნეობის მატარებელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე პიროვნება, დიდი ქველმოქმედი ადამიანი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნისა და, მოგვიანებით, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში სამსახურის შემდეგ, 1956 წელს პეტრე ხვედელიძე საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. 1967-85 წლებში ბატონი პეტრე „ამერიკის ხმის" ქართულ განყოფილებაში მუშაობდა და ამ განყოფილების ერთ-ერთი ცნობილი წამყვანი გახლდათ. მისი გადაცემების უმთავრესი დანიშნულება სიმართლის თქმა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების პირუთვნელი ანალიზი იყო. იმავდროულად, პეტრე ხვედელიძე ამერიკის ქართველთა სათვისტომოს გამგეობის წევრიც იყო და უანგაროდ ედგა მხარში ემიგრაციაში მყოფ ქართველებს.

პეტრე ხვედელიძის მდიდარი პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, რომელმაც საქართველოს ემიგრაციის ისტორიის საინტერესო ფურცლები შემოუნახა, საშუალებას იძლევა ქართულმა საზოგადოებამ გაიგოს, თუ როგორი იყო საქართველოზე ზრუნვითა და ფიქრით აღსავსე ქართველი ემიგრანტების ყოფა და ხაზოგადოებრივი მოღვაწეობა საზღვარგარეთ, როგორ უყვარდათ სამშობლო და ოცნებობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და თავისუფლებაზე. ბატონი პეტრეს პირადი მიმოწერა საფრანგეთის ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან წიგნებად გამოიცა. ეს კრებულები – „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით", რომელიც ქართული ემიგრაციის ისტორიის მნიშვნელოვან ფრაგმენტებს მოიცავს, კიდევერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოსადმი უანგარო მსახურება იყო ბატონი პეტრეს ცხოვრების აზრი და მიზანი.

ბატონი პეტრე აქტიურ მხარდაჭერას უწევდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ თანამემამულეებს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მუდმივად ამხნევებდა მორალურად ავღანეთის მისიაში მონაწილე, დაჭრილ ქართველ მეომრებს, რომლებიც სარეაბილიტაციო კურსს ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში გადიოდნენ და მშობელ მამასავით ზრუნავდა მათზე.

მსურს გამოვხატო ჩემი ღრმა მწუხარება ჭეშმარიტი მამულიშვილის, პეტრე ხვედელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და გულითადი სამძიმარი გამოვუცხადო მის ახლობლებს, ქართულ ემიგრაციას და სრულიად საქართველოს.

კონსტანტინე სურგულაძე – სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში

პატივისცემის სიგელი

Certificate of Appreciation

ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში გაწეული ღვაწლისა და ქველმოქმედებისათვის მადლობის სიგელით ჯილდოვდება უხუცესი ემიგრანტი

Elder emigrant is awarded the Certificate of Appreciation for his philanthropic contribution and efforts in fight for the restoration of the State Independence of Georgia

ბატონი პეტრე ხვედელიძე

Mr. Petre Khvedelidze

კონსტანტინე სურგულაძე
სახელმწიფო მინისტრი

Konstantine Surguladze
State Minister

KAKUTSA CHOLOKASHVILI NATIONAL SOCIETY

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული საზოგადოება

ვეცრე ხიდელიძე

საზოგადოების საპატიო წევრი

თავმჯდომარე

ლევან ჟვანია

31.03.2013

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
PRESIDENT OF THE REPUBLIC OF GEORGIA

ბ-ნ ნოდარ ხვედელიძეს

ლანჩხუთის ადმინისტრაციის ბ-ნი ნოდარ!

ბევრი მიგნია ასეთი ნაყოფიერი მოლაპარაკების შესახებ ოსტინოეთში ჩვენი ერის ისტორიაზე. ფიქრობ, ისიც, რომ ისტორიკოსებმა მომავალში მაგალითად მოიყვანონ. ალბათ ჩვენი ქვეყნის სუფრასთან ერთად ბოლოდროინდელ შეკრებებს ნოტიოებისადმი ადგილობრივ ხალხებს, ყველა ტაბლიანი ტანჯვის კვალი ამოიშალოს და ამ წინააღმდეგობებზე ძალა ისტორიის ეფექტიანი ეს ერთ ოსტინოეთში შეხვედრა ტანჯვისა ბოლო ჩვენ ფიქრობთ ნოდარ ასეთი ისტორიული.

ისტორიის სასარგებლოდ ნაბიჯებია
1993. ოვნარიაში ბევრ მადლობელი
8 ივლისი

შეერთებული შტატების
საინფორმაციო
საagენტო
ქალაქი ვაშინგტონი 20547

დირექტორის ოფისი

31 მაისი, 1985

ბატონო ხვედელიძე,

თქვენს პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით მინდა გამოვხატო მადლიერება იმ სამსახურისთვის, რომელსაც 17 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდით ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს – „ამერიკის ხმის" – ქართულ სამსახურში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის.

ამ წლების განმავლობაში თქვენ მუშაობდით, როგორც მწერალი და სამსახურის უფროსის მოადგილე, სანამ დაწინაურდებოდით პროდიუსერის თანამდებობაზე ქართულენოვან დილის გადაცემაში. თქვენი კარიერის მიდწევებს შორის სპორტული და ოლიმპიური თამაშების მიმოხილვებია. თქვენ გყავთ უამრავი მეგობარი "ამერიკის ხმის" სხვადასხვაენოვან სამსახურებში, ინჭინრებს შორის დიდ და პატარა განყოფილებებში. ქართულ საზოგადოებაში, სამსახურს გარეთ, თქვენი ხელგაშლილობა და სხვათა მიმართ თანაგრძნობა ლეგენდარულია. თქვენ ყველა გიცნობთ, როგორც თავდადებულ, სანდო, კეთილ და რაც მთავარია, პატიოსან ადამიანს.

შესაძლებელია, დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა თქვენ გიგულისხმათ, როდესაც წერდა:

„მოლაშქრე უნდა ჰაბუქი, თამამი, თავ-მდაბლოვანი, მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი, მხნე, ამხანაგთა მოყვარე, მამაცი ძალგულოვანი, გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარ-მძლოვანი.”

ჩემთვის დიდი პატივია, გამოვხატო მადლიერება ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოსა და “ამერიკის ხმის” სახელით თქვენი ერთგული სამსახურისთვის. მე ვუერთდები თქვენს კოლეგებს და მეგობრებს, რათა გისურვოთ ბედნიერება და წარმატებები მომავალში.

გულწრფელად თქვენი,

ჩარლს ზ. ვიკ
დირექტორი

United States Information Agency

Washington, D.C. 20547

Office of the Director

May 31, 1985

Dear Mr. Kvedelidze:

On the occasion of your retirement from the U.S. Information Agency, I want to express my gratitude for the more than 17 years of service you have given to the United States Government, all of which have been with the VOA Georgian Service.

During those years, you worked as a writer/announcer and served as Deputy Service Chief before being assigned as writer/editor/producer/emcee of the Georgian-language Breakfast Show. Among the high points of your career was your coverage of sports events, including the Olympic Games. Throughout the VOA you have legions of friends in various language services, among the engineers, and in offices large and small. In the Georgian community outside the VOA, your generosity and compassion for others are legendary. All know you as a dedicated, reliable, kind, and above all, a decent man.

Perhaps the Georgian poet, David Guramishvili, had you in mind when he wrote:

"Upright and modest, gracious, just,
E'er ready for a manly fight.
A faithful friend, devoted, true,
His deeds like stars must light the night."

It is a pleasure for me to thank you on behalf of the VOA, USIA, and the Federal Government for your loyal and dependable service. Your colleagues and friends join me in wishing you good fortune and happiness in the years ahead.

Sincerely,

Charles Z. Wick

Charles Z. Wick
Director

Mr. Petre V. Kvedelidze
800 - 4th Street, S.W.
Washington, D.C. 20024



LEGION ETRANGERE

HONNEUR ET FIDELITE

VALEUR ET DISCIPLINE

Extrait de l'Ordre

[illegible]

[illegible]

" [illegible] dynamique et courageux, mené d'un [illegible] de service. Volontaire pour toutes les sorties de nuit et de jour, le 28-101, le 28 mai 1948, a permis l'accrochage d'une section rebelle en lui coupant son principal chemin de repli. Au retour, entraînant avec son groupe la protection de la section, fait gravement blessé par éclats de bombe, n'a cessé, malgré ses souffrances, de chanter pendant son évacuation, donnant ainsi une nouvelle preuve de courage et de force de caractère."

[illegible]

[illegible]

[illegible]

უცხოელთა ლეგიონი

დირსება და ერთგულება

მამაცობა და დისციპლინა

ბრძანების ამონაწერი
№349
26 აგვისტო, 1948 წელი

კაპალერიის სერჟანტი ხვედელიძე პეტრე შეიარაღებული არმიის კორპუსის ბრძანებით

გამოირჩევა დიდი დინამიურობითა და სიმამაცით, მსახურების მგზნებარე სურვილით. იყო მოხალისე ყველა ღამის და დღის გასვლების ჰალოიში. 1948 წლის 28 მაისს პეტრე ხვედელიძემ თავისი მოძმედებით უკანდასახევი გზა მოუჭრა მეამბოხეთა ოცეულს. დაბრუნებისას, იცავდა რა თავის ჯგუფთან ერთად საბრძოლო მოძმედების არეალს, მძიმედ დაიჭრა ბომბის ნამსხვრევებით. ევაკუაციის დროს, მიუხედავად ტკივილებისა, მას არ შეუწყვეტია სიმღერა, იძლეოდა რა თავისი ხასიათის, სიმამაცის, სიძლიერისა და ნებისყოფის ახალ დამამტკიცებელ საბუთს.

<u>საფრანგეთის გარეთ საომარ ოპერაციებში მონაწილეობისათვის. ჯილდოვდება საბრძოლო ჯვრით, ალისფერი ვარსკვლავით.</u>

ასლი დამტკიცებულია
სიდი-ბელ-აბესი, 10 ივნისი, 1951 წელი
ვიცე-პოლკოვნიკი დენისი

პეტრე ხვედელიძის პირადი არქივის საფუძველზე შექმნილი წიგნები:

რევაზ გაბაშვილის წერილები პეტრე ხვედელიძეს

ლევან ზურაბიშვილის წერილები პეტრე ხვედელიძეს

პ. ხვედელიძე. გ. დადიანის ხსოვნას 500
" " " "სერგო დონდუას ხსოვნას 500
" " "შოთა მშვიდობაძის ხსოვნას 800
" " " ეკატერინე(ეკა) დადიანის გარდაცვალებიდან ათი წლის აღსანიშნავად 800

პ ხვედელიძე .ლ. აბდუშელის ხსოვნას 500
" " " აგვისტოს მსხვერპლთა ხსოვნას 1000
კაკო ალშიბაიას ხსოვნას 730

ბატონო რედაქტორო. გაახლებთ ცხრაათასხუთას ფრანკს და ვინაიდან გავდივარ 9500
პენსიაზე, რის გამოც დარწმუნებული არა ვარ, რომ მომავალშიც შომეცემა ასეთი რაოდენობით შეწირულების გაღების შესაძლებლობა, გთხოვთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში მოათავსოთ შემდეგი პირების კეთილი ხსოვნის აღნიშვნა :
თამარ და ლადო შარაბიძეებისა, ლევან ზურაბიშვილისა, ვიქტორ ნოზაძისა— ამათგან მეტი წილის გარდაცვალების მეათე წლის თავთან დაკავშირებით. 1939— 1944 წლების პერიოდში ჩემი ამხანაგებისა და ბოლოს იმ ქართველებისა და მათი ოჯახების წევრებისა, რომლებიც მე დამეხმარენ უცხოეთში ყოფნის დროს. წინასწარი მადლობით პ. ხვედელიძე.

ა(ა)იპ „ზევსი"
ს/კ 404491082
საქართველო, ქ. თბილისი
მის: თიანეთის გზატკეცილი 25

ZEVSI

N(N) LE „ZEVSI"
ID 404491082
Tbilisi, Georgia
25 Tianeti Higway

№ 59 08 სექტემბერი 2016წ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და ბიბლიოლოგის კომისიის

თავჯდომარეს ლია ჯიხველაძეს

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის 414-59 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შეაბამისად სახელწოდებ ბერ, დაფუძნებული საგარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტზე სახელდება დაიაშვება გეოგრაფიული ობიექტის მესაკუთრე საგარო სამართლის იურიდიული პირის აბ/და მისი დამფუძნებლის მოსმართვით აბ/და თანხმობის შემთხვევაში.

მოგმართავთ ინფორმაციისა, თქვენი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელოთ ჩვენს საკუთრებაში არსებული ეკრანის ქონების (საკადასტრო კოდი 01.14.14.005 219) ალექსანდრე მეტრეველის სახელის მინიჭება

პატივისცემით,

დირექტორი ე. ტყემელაშვილი

ZEVSI N(N)LE ZEVSI 404491082

№ 01/46184
"08" სექტემბერი 2016

პეტრე ხვედელიძე
(1918-2014)

ჟურნალისტი და სამხედრო პირი,ქართული ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენელი, 18 წლის განმავლობაში „ამერიკის ხმის“ წამყვანი. ცნობილი ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების და ბეჭდური მედიის დამფინანსებელი.

დაიბადა თბილისში რკინიგზის მუშის ოჯახში. 1937 წელს თბილისის მე-10 საჯარო სკოლა დაამთავრა. 1939 წელს სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა, მაგრამ სამ თვეში უკან დაბრუნდა, რადგან ჯარში გაწვევის უწყება მიიღო. ამავე წლის 6 ნოემბერს დაიწყო არმიაში სამსახური. 1940 წელს ჩაირიცხა პოლკის ასეულის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც მიიღო ლეიტენანტის წოდება. 1941 წლის 22 ივნისს, სამამულო ომის დაწყების დღეს მისი სამხედრო ნაწილი ბესარაბიაში იდგა. დიდი მცდელობის მიუხედავად, წითელარმიელებმა ალყის გარღვევა ვერ მოახერხეს და მრავალი მათგანი ტყვედ ჩავარდა, მათ შორის პეტრე ხვედელიძეც. 1941 წლის 12 ივლისიდან 9 თვე გერმანელთა ტყვეობაში გაატარა. ომში ნანახმა ბევრ რამეზე აუხილა თვალი და კიდევ უფრო გაუმძაფრა შეურიგებლობის გრძნობა საბჭოთა რეჟიმის მიმართ. ტყვეობის შემდეგ პეტრე ხვედელიძეს სამშობლოში დაბრუნება აღარ უფიქრია. 1942 წლის გაზაფხულზე იგი აიყვანეს ბრანდერბურგის სასწავლო პოლკში მოხალისედ, ამავე წლის აგვისტოში, საბრძოლო ოპერაციის დროს დაიჭრა. 1944 წელს გერმანული ჯარის ნაწილიდან გადაიყვანეს ქართულ ლეგიონში, რომელიც იმავე წლის გაზაფხულზე გაგზავნეს სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ კასტრში. აგვისტოს თვეში ლეგიონი შარლ დე გოლის ნაწილებს შეუერთდა. უცხოელთა ლეგიონში შვიდწლიანი მსახურობის პერიოდში პეტრე ხვედელიძეს მიღებული ჰქონდა მედალი და ჯილდოები. ლეგიონი სერჟანტის ჩინით დატოვა და ნაწილობრივი პენსია დაენიშნა. 1956 წელს პეტრე ხვედელიძემ მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა საფრანგეთი. დაიწყო მისი მეორე ემიგრაცია, ამჯერად ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1963 წელს მიიღო ამერიკის მოქალაქეობა. 1967 წელს მიიწვიეს „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში. მისი გადაცემის ერთადერთი დევიზი იყო სიმართლე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ობიექტური ანალიზი. რედაქციაში მუშაობისას მიღებული აქვს სიგელები და მადლობები. 1985 წლის ივნისის თვიდან პეტრე ხვედელიძე პენსიაზე გავიდა.

2014 წლის 27 მარტს პეტრე ხვედელიძე ამერიკაში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.